ჟურნალისტიკა
Journalism

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი
ჟურნალისტიკის მაგისტრი
MA in Journalism

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
მარინა ვაშაყმაძე – სრული პროფესორი

4. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

დისციპლინის მნიშვნელობა და შინაარსი

მაგისტრატურის მიზანია, მოამზადოს ახალი თაობის პროფესიონალები, რომელთაც გამომუშავებული ექნებათ კრიტიკული აზროვნების უნარი, მულტი-მედია გარემოში მუშაობისათვის საჭირო პროფესიული და ეთიკური უნარ-ჩვევები. ამავე დროს, მიმართულება მოამზადებს პროფესიონალს, რომელსაც ექნება სათანადო ცოდნა, შეაფასოს და გამოიკვლიოს მედიასამყაროში მიმდინარე პროცესები და ტენდენციები, მედიის როლი თანამედროვე საზოგადოებაში და მისი ფუნქციონირების პირობები. მასკომუნიკაციის და მასმედიის სტრუქტურა და განვითარება. ამ მიმართულების სწავლება, ასევე კვლევა და ანალიზი, უნდა მიმდინარეობდეს თანამედროვე ჟურნალიზმის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მაგისტრატურაში მომზადდებიან სტუდენტები, რომლებიც გათვითცნობიერებულნი იქნებიან თეორიულ კონცეფციებსა და კვლევით მეთოდებში, შეეძლებათ მედიის, მისი პროდუქციის და აუდიტორიის კრიტიკული ანალიზი, მიღებული ცოდნის კონკრეტულ საქმიანობაში გამოყენება, იქნება ეს აკადემიური სფერო თუ ჟურნალისტური პრაქტიკა.

სტუდენტებმა უნდა შეიმუშაონ კრიტიკული შეფასების უნარი, ასევე უნდა გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კვლევის უნარი რათა შეძლონ მათი მომავალ კარიერაში გამოყენება.

კურსის მომზადება

ჟურნალიზმისა და მასკომუნიკაციის განახლებული პროგრამის მომზადება მიმდინარე წლიდან დაიწყო, Academic Fellowship Program -ის ფარგლებში მიმდინარეობს ცალკეული საგნებისა და პროგრამის მიმართულებების განხილვა. Pპროგრამის ხელმძღვანელი მისურის უნივერსიტეტის პროფესორი ბაირონ სკოტი

მუშაობს პროფესორ-მასწავლებლებთან კურსის დახვეწასა და განვითრებაზე. მუშაობა Eგაგრძელდება უკვე დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედებზე.
პროგრამის გეგმა და წამყვანი საგნების სილაბუსები მუშავდება ე.წ peer-review პროცესის საფუძველზე, ბაირონ სკოტისა და სხვა საერთაშორისო ექსპერტების კონსულტაციების გათვალისწინებით. პროგრამის განვითარების მიზნით იგეგმება თანამშრომლობა ლუიზიანას (აშშ) და ოჰაიოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტებთან.

პროგრამის მიზანი

მაგისტრატურის მიზანია მოამზადოს პროფესიონალები, რომელთაც გამომუშავებული ექნებათ კრიტიკული აზროვნების უნარი, თანამედროვე მულტიმედია გარემოში მუშაობისათვის საჭირო პროფესიული და ეთიკური უნარ-ჩვევები პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. ექნებათ სათანადო ცოდნა, რომ იკვლიონ და შეაფასონ მედიაში მიმდინარე პროცესები და ტენდენციები, მედიის როლი თანამედროვე საზოგადოებაში და მისი ფუნქციონირების პირობები. Mმაგისტრატურაში მომზადდებიან სტუდენტები, რომლებიც გათვითცნობიერებული იქნებიან ჟურნალიზმის და მასკომუნიკაციის კონცეფციებსა და კვლევით მეთოდებში, ვისაც შეეძლება მედიის, მედიაპროდუქტისა და აუდიტორიის კრიტიკული ანალიზი, მიღებული ცოდნის კონკრეტულ საქმიანობაში გამოყენება– იქნება ეს აკადემიური სფერო თუ ჟურნალისტური პრაქტიკა. Pპროგრამა მაგისტრანტს უნდა უქმნიდეს მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელების წინაპირობას.

სწავლების შედეგი

ჟურნალისტიკის მაგისტრის ხარისხი ენიჭებთ სტუდენტებს რომელთაც:

- გააჩნიათ ცოდნა, რომელიც ეფუძნება და აღრმავებს ბაკალავრიატის დონეზე მიღებულ განათლებას ჟურნალიზმისა და მასკომუნიკაციის სფეროში.

- გამომუშავებული აქვთ თანამეროვე მედიის კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევები

- გააზრებული აქვთ ჟურნალისტის როლი და დანიშნულება განსხვავებულ კულტურათა პირობებში.

- განვითრებული აქვთ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი, რაც აძლევს მედის კვლევისა შესწავლის შესაძლებლობას.

- მზად არიან მედიის სფეროში წამყვან პოზიციებზე სამუშაოდ.

- გააჩნიათ საკმარისი კომპეტენცია შესაბამისი აკადემიური ლიტერატურის გასაცნობად და ასათვისებლად. აქვთ ამ ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის უნარი.
- გააჩნიათ აკადემიური ნაშრომის შესაბამისი წერილობითი და ვერბალური პრეზენტაციის უნარი
- შესაბამისი უნარ-ჩვევები დამოუკიდებელი კვლევისათვის და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის.

დასაქმების სფერო

ჟურნალიზმისა და მასკომუნიკაციის მაგისტრის ხარისხის მქონე პირები დააკმაყოფილებენ ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც გათვალისწინებულია ფაკულტეტზე არსებული ჟურნალისტიკის საკვალიფიკაციო დახასიათებით და შეეძლებათ პრაქტიკული საქმიანობა თანამედროვე მედიაორგანიზაციებსა და კვლევით ცენტრებში. ამასთანავე, თეორიული მომზადება მათ შესაძლებლობას მისცემს მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესში ბაკალავრიატის დონეზე და აწარმოონ სამეცნიერო კვლევა.

5. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

სამაგისტრო სპეციალობაზე ,, ჟურნაისტიკა და მასკომუნიკაცია” მიიღებიან საქართველოში აკრედიტებული ან საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლის ჟურნალისტიკის (major) და (minor) ბაკალავრის ხარისხის მქონე აბიტურიენტები.

- არ მოეთხოვებათ სამუშაო გამოცდილება.
- მისაღები გამოცდა ჩატარდება წერით, კომბინირებული წესით (სამოტივაციო წერილი და თხზულება).
- ჟურნალიზმისა და მასკომუნიკაცის მიმართულებით მაგისტრატურაში სწავლის მსურველები კარგად უნდა ფლობდნენ მინიმუმ ერთ უცხო ენას (B1). (მათ შორის იგულისხმება რუსულიც), რადგან ამ სფეროებში მუშაობა და სათანდო ლიტერატურის გაცნობა აუცილებლად მოითხოვს ენების ცოდნას.